EC
არქ ექსპერტიზის ცენტრი
ARCH EXPERTISE CENTER

ექსპერტიზის

ანგარიში № AEC-III-IR-30-17

ქ. თბილისში, გურამიშვილის ქუჩიდან გლდანში მიმავალ მაგისტრალზე შპს „გამა“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი 01.11.12.020.007) გაზგასამართის სადგურის პროექტის არქიტექტურული ნაწილების „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან შესაბამისობის შესახებ

დაწყების თარიღი: 2017 წლის 12 დეკემბერი

დასრულების თარიღი: 2018 წლის 12 იანვარი

„ვამტკიცებ“
შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“-ს
დირექტორი

გიორგი კერესელიძე

12 იანვარი 2018 წელი

ექსპერტიზის

ანგარიში № AEC-III-IR-30-17

ქ. თბილისში, გურამიშვილის ქუჩიდან გლდანში მიმავალ მაგისტრალზე შპს „გამა“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი 01.11.12.020.007) გაზგასამართის სადგურის პროექტის არქიტექტურული ნაწილების „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან შესაბამისობის შესახებ

შემადგენლობა:

1. ექსპერტიზის სახეობა---------- 3
2. შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“ ექსპერტიზის ორგანო---------- 3
3. ინფორმაციული ზოგადი ნაწილი---------- 3
4. დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია---------- 4
5. პროექტის აღწერილობა, დაგეგმარების საფუძველი და მიზნები---------- 6
6. დაგეგმარებისათვის გამოყენებული კანონმდებლობა---------- 6
7. ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია, რის მიხედვითაც ჩატარდა ინსპექტირება---7
8. კვლევითი ნაწილი---------- 7
9. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება ----------7
10. კონსტრუქციის ტიპების შეფასება---------- 9
11. სიმაღლისა და ფართობის შეფასება ---------- 9
12. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება----------10
13. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება---------- 10
14. მისაწვდომობის შეფასება---------- 10
15. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება---------- 10
16. სახურავის ანაწყობების შეფასება---------- 13
17. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება---------- 13
18. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება---------- 13
19. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება---------- 13
20. განსაკუთრებული პირობები (დამატებითი)---------- 14
21. ექსპერტიზის დასკვნა ---------- 15

1. ექსპერტიზის სახეობა:

ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები - ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის ან მისი ცალკეული ნაწილის ინსპექტირება, დოკუმენტის №AEC-IMP-II/01-17-ის შესაბამისად.

2. შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“ ინსპექტირების ორგანო

სამართლებლივად ნაკისრი ვალდებულებებით პასუხისმგებელია ინსპექტირების მიუკერძოებლობაზე, კვლევის ჯეროვან ჩატარებასა და ექსპერტიზის პროცესში მიღებული ნებისმიერი შედეგის კონფიდენციალობაზე.

საექსპერტო შეფასების შემსრულებელთა ჯგუფს ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელობისგან განემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც ასახულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე, 52-ე მუხლებში. ამასთან, გაფრთხილებულნი არიან, რომ ცრუ ჩვენების ან/და ყალბი დასკვნის მომზადების შემთხვევაში დაეკისრებათ პასუხისმგებლობა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით.

3. ინფორმაციული ზოგადი ნაწილი

ინსპექტირების (ექსპერტიზის) სახეობა	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის ან მისი ცალკეული ნაწილის ექსპერტიზა.
ინსპექტირების ობიექტის იდენტიფიცირება	ქ. თბილისი, გურამიშვილის ქუჩიდან გლდანში მიმავალ მაგისტრალზე შპს „გამა“-ს კუთვნის მიწის ნაკვეთი (საკ.კოდი 01.11.12.020.007)
ინსპექტირების ჩატარების თარიღი	12.12.2017—12.12.2018
ანგარიშის ადრესატი	შპს „გამა“, ს/კ 208208198
ინსპექტირების ჩატარების საფუძველი	ხელშეკრულება № AEC-III-C-30-17 (26.08.2017წ.)
სამუშაოს სახეობა	ქ. თბილისში, გურამიშვილის ქუჩიდან გლდანში მიმავალ მაგისტრალზე შპს „გამა“-ს კუთვნის მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი 01.11.12.020.007) გაზგასამართის სადგურის არქიტექტურული პროექტის ნაწილების, „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის საექსპერტო შეფასება;
მომხმარებლის იდენტიფიკაცია	1. დავით ჩახტაური 2. მის: ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი, №67
ინსპექტირების ობიექტის მესაკუთრე	შპს „გამა“
ინფორმაცია ინსპექტირების ჩატარების ადგილის შესახებ	ქ. თბილისი, სპირიდონ კედიას N10ა

ექსპერტიზის შემსრულებლები	ექსპერტი არქიტექტორი: ნატალია ვასილიევა
ნაკლოვანების ან ხარვეზის შემთხვევაში, ვადა, თუ როდის არის შესაძლებელი განმეორებითი ინსპექტირება	ვადა განისაზღვროს ახალი ხელშეკრულებით, განახლებული დოკუმენტაციის მოწოდების შემთხვევაში.

4. დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია

ქ. თბილისში, გურამიშვილის ქუჩიდან გლდანში მიმავალ მაგისტრალზე შპს „გამა“-ს კუთვნის მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი 01.11.12.020.007) გაზგასამართის სადგურის არქიტექტურული პროექტის ვექტორული ფაილისა და pdf ფორმატის დოკუმენტის სახით.

#	ნახაზების დასახელება	ფურცლის #
1.	თავფურცელი	ა-1
2.	ანონაწერი საჯარო რეესტრიდან	ა-2
3.	საკადასტრო რუკა	ა-3
4.	ნაკვეთის ტოპოგეგმა	ა-4
5.	თავფურცელი არსებული	ა-5
6.	განმარტებითი ბარათი	ა-6
7.	არსებული სიტუაციის ფოტოფიქსაცია 1	ა-7
8.	არსებული სიტუაციის ფოტოფიქსაცია 2	ა-8
9.	არსებული გეგმა 0.00 ნიშნულზე	ა-9
10.	არსებული გადახურვის გეგმა	ა-10
11.	არსებული ფასადი „1-2“ ღერძებზე	ა-11
12.	არსებული ფასადი „ა-ბ“ ღერძებზე	ა-12
13.	არსებული ფასადი „2-1“ ღერძებზე	ა-13
14.	არსებული ფასადი „ბ-ა“ ღერძებზე	ა-13
15.	არსებული ჭრილი 1-1	ა-15
16.	არსებული ჭრილი 2-2	ა-16
17.	თავფურცელი საპროექტო	ა-17
18.	ფოტომონტაჟი	ა-18
19.	პერსპექტივი 1	ა-19
20.	პერსპექტივი 2	ა-20
21.	პერსპექტივი 3	ა-21
22.	პერსპექტივი 4	ა-22
23.	პერსპექტივი 5	ა-23
24.	პირობითი აღნიშვნები	ა-24
25.	შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების შესაბამისობის ანალიზი	ა-25
26.	საპროექტო გეგმა 0.00 ნიშნულზე	ა-26
27.	საპროექტო გადახურვის გეგმა	ა-27
28.	შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების შესაბამისობა (გეგმა)	ა-28
29.	საპროექტო ფასადი „1-2“ ღერძებზე	ა-29
30.	საპროექტო ფასადი „ა-ბ“ ღერძებზე	ა-30
31.	საპროექტო ფასადი „2-1“ ღერძებზე	ა-31
32.	საპროექტო ფასადი „ბ-ა“ ღერძებზე	ა-32
33.	საპროექტო ჭრილი 1-1	ა-33
34.	საპროექტო ჭრილი 2-2	ა-34
35.	თავფურცელი მშენებლობის ორგანიზაცია	ა-35
36.	მშენებლობის ორგანიზაცია	ა-36
37.	მშენებლობის ორგანიზაციის გრაფიკი	ა-37

5. პროექტის აღწერილობა, დაგეგმარების საფუძველი და მიზნები:

წინამდებარე პროექტი მოიცავს ავტოგასამართი (ბენზინი და გაზი) სადგურის რეკონსტრუქციას. დაგეგმილია არსებული გაზგასამართ სადგურზე ორი ბენზოგასამართი პულტის დამატება, ასევე ბენზინისთვის მოეწყობა ოთხი მიწისქვეშა რეზერუარი, 20 კუბური მეტრის ტევადობით თითოეული სულ 80 კუბ.მ. მოცულობით. ასევე დაემატება თხევადი გაზის გასამართი ადგილი (ცისტერნა) რეზერუარების მიმდებარედ; ასევე არსებულ ტუალეტს ემატება ახალი ტუალეტი, შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის, ამჟამად არსებული ღია მოსაცდელის გვერდით გადავიტანთ არსებულ შემოზღუდულ მოსაცდელს.

ტერიტორია (ფართობი: 1876.00. კვ.მ) გამოირჩევა წყნარი რელიეფით. მასზე განთავსებულია არსებული შემდეგი შენობა ნაგებობები: 1.საოპერატორო; 2.სატრანსფორმატორო, 3.საკომპრესოროს სათავსოები, 4.შბა-ს შესანახი ფარდული (რომელიც არ შეესაბამება უსაფრთხოების წესებს და რომელიც უნდა იქნას შემოზღუდული 1 სთ ცეცხლმედეგი კონსტრუქციებით, რაც გათვალისწინებულია პროექტში), 5.გაზგასამართი სარიგებელი სვეტები ფარდულით, 6.ტუალეტები, 7.დახურული მოსაცდელი, 8.ღია მოსაცდელი, 9.თხევადი აირის ავზი და სარიგებელი სვეტი.

შენობა-ნაგებობების დახასიათება: საოპერატოროში განთავსებულია ორი საოფისე ოთახი, ერთი მოსასვენებელი ოთახი, ერთი სველი წერტილი (ტუალეტი), ერთი დამლაგებლის ოთახი და საკუჭნაო. შენობები აგებულია რკინა-ბეტონის კონსტრუქციით და შემავსებლად გამოყენებულია წვრილი სამშენებლო ბლოკი. საოპერატორო მოპირკეთებულია ალუკობონდით, ისევე როგორც ბენზინისა და გაზის სვეტების ფარდული. შბა-ს ცილინდრების ღია საცავი უნადა შემოიზღუდოს 1 საათიანი ცეცხლმედეგობის კედლით და შეილესოს და შეიღებოს. დანარჩენი შენობებიც შელესილია და შეღებილია მაღალი ხარისხის ფასადის საღებავით. ასევე შეილესება და შეიღებება საპროექტო შშმ პირთა ტუალეტიც. რაც შეეხება მიწისქვეშა რეზერვუარებს, ისინი შემოიღობება მავთულბადის ღობით. რეზერვუარების კონსტრუქცია შედგება ორმაგი ლითონის შრესგან, შუალედში ამოვსებული ინერტული აირით. ავზების გარშემო მოეწყობა რკინაბეტონის სარკოფაგი 2 სთ ცეცხლმედეგობით. თხევადი აირის ცისტერნა და სარიგებელი სვეტი ტერიტორიაზე განთავსებულია ყველა ნორმის დაცვით.

საპროექტო და მიმდებარე ტეროტორიებზე ფუნქციონირებს ავტოგასამართი და ავტომომსახურების ობიექტები.

დაცულია სამშენებლო-საპროექტო ნორმები, ტერიტორია გამწვანებულია და მოპირკეთებული.

6. დაგეგმარებისათვის გამოყენებული კანონმდებლობა:

- საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ";
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები";
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N64 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

7. ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია, რის მიხედვითაც ჩატარდა ინსპექტირება

ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები - ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის ან მისი ცალკეული ნაწილის ექსპერტიზა. დოკუმენტის № AEC-IMP-II-01-17-ის შესაბამისად.

ექსპერტიზის შერულების პროცესში გამოყენებული იქნა:

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ";
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები";
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

NFPA-52; NFPA-30A;

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N64 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

8. კვლევითი ნაწილი

ექსპერტის მიერ არქიტექტურული პროექტის ნაწილების შესაბამისობა შეფასდა ინსპექტირების ორგანოს მიერ დამტკიცებული მეთოდებისა და პროცედურების რეგლამენტის მიხედვით.
კერძოდ, განხილულ იქნა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N63 დადგენილებით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

9. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს შენობაში განთავსებულ თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებითგანსაზღვრულ ყველა მოთხოვნას. დაკავებულობები კლასიფიცირდება და შეესაბამება მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება წესების **302-ე ქვეთავს.**

პროექტში გამოყენებულია საქმიანი (სქ), დამხმარე სათავსოების (დს), სავაჭრო (სვ), დიდი საფრთხის შემცველი (დსშ-2) და სასაწყობო (სწ-2) ჯგუფების დაკავებულობები.

1. საქმიანი ჯგუფი სქ მიწისპირა სართულზე (არსებული საოფისე და მოსასვენებელი ოთახები ოთახები და საპროექტო დახურული მოსაცდელი) წესების **304** თავის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობის ან ნაგებობის ან მისი ნაწილის გამოყენებას საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად.

სქ დაკავებულობისთვის (არსებული საოფისე და მოსასვენებელი ოთახები და საპროექტო დახურული მოსაცდელი) განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 9,3 – **1004 ქვეთავის და 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 3+1. არსებული შენობის საკადასტრო საზღვართან მდებარე კედელი მოწყობილია 1 სთ ცეცხლმედეგობის გამოჯვნით.

2. დამხმარე დანიშნულების ჯგუფის (დს) შენობები, ნაგებობები და სხვადასხვა ნაგებობა (თავი **312**), რომლებიც არ მიეკუთვნება რომელიმე სპეციფიკურ კლასს, უნდა აიგოს, აღჭურვოს და შენარჩუნდეს წესების მოთხოვნათა შესაბამისად, მათი დაკავების დროს ხანძრისა და სიცოცხლისათვის

შესაძლო საფრხის გათვალისწინებით. დამხმარე ჯგუფის სათავსოსთვის (საკუჭნაო) დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 27,9 – **1004 ქვეთავის და 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 1.

3. დიდი საფრთხის შემცველ (დსშ) ჯგუფში შედის შენობის ან ნაგებობის, ან მისი ნაწილის ისეთი გამოყენება, რომელიც მოიცავს წარმოებას, გადამუშავდებას, გენერაციას ან ნივთიერებების შენახვას **307.1(1)** და **307.1(2)** ცხრილებში **412 და 416**-ე ქვეთავის შესაბამისად მოწყობილი გასაკონტროლებელი ფართობებისთვის მაქსიმალურად დასაშვებზე მეტი რაოდენობით, რაც იწვევს ფიზიკურ ან ჯანმრთელობისათვის საფრთხეებს. საფრთხის შემცველი დაკავებულობა დსშ-2 კლასიფიცირდება **307** - ე ქვეთავის მოთხოვნებით. ამ ჯგუფს მიეკუთვნება არსებული საკომპრესორო და შბა-ს საცავი ცილინდრების სათავსოები (დაკავებულობის ფაქტორი 9,3; დ.დ. 4 და 1), საპროექტო თხევადი საწვავის მიწისქვეშა ავზები და საპროექტო თხევადი აირის ავზი (დაუკავებელი).

4. სასაწყობო ჯგუფის (სწ) დაკავებულობები, სხვებთან ერთად, მოიცავს საწყობად გამოყენებულ შენობას ან ნაგებობას, ან მათ ნაწილს და არ კლასიფიცირდება, როგორც საფრთხის შემცველი დაკავებულობა. **311.3** ქვეთავი-ს შესაბამისად კლასიფიცირდება მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2 - შენობები, სადაც ზეთის და სხვა ტიპის გამანაწილებელი ტრანსფორმატორებია მოთავსებული. პროექტში ტრანსფორმატოს უკავია მთლიანი სივრცე და შეფასებულია როგორც დაუკავებელი. საკადასტრო საზღვართან ახლო მდებარე კედლებს მიცემული აქვს 1 სთ ცეცხლმედეგობა.

5. სავაჭრო ჯგუფი (სვ) დაკავებულობა, სხვებთან ერთად, მოიცავს ისეთი შენობებისა და ნაგებობების ან მათი ნაწილების გამოყენებას, სადაც ქვეთავი **309.1**-ის შესაბამისად გამოფენილია და იყიდება საქონელი, ასევე, განთავსებულია ამგვარი საქონლის მარაგი, ნაკეთობები და სავაჭრო საქონელი და მისაწვდომია საზოგადოებისათვის. პროექტში გათვალისწინებულია არსებული შეკუმშული აირის სარიგებელი სვეტები სვ(1), საპროექტო ბენზინსარიგებელი სვეტები სვ(2) და საპროექტო თხევადი აირის სარიგებელი სვეტი სვ(3) - AS-5092; NZS-5425; NFPA 52-30A; NFPA -52-2010-1და NFPA 2012 -30-ს შესაბამისად.

პროექტის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობები შერჩეულია წესების შესაბამისად, და მათი დატვირთვები სწორად არის გამოთვლილი **1004.1.2** ცხრილის მიხედვით

ჩამოთვალეთ შენობის დაკავებულებები და აღწერეთ თითოეული გამოყენება
1. საქმიანი ჯგუფი **სქ(1)** - მიწისპირა სართული - საოფისე ოთახები (არსებ.)
2. დამხმარე სათავსოების ჯგუფი **დს** - მიწისპირა სართული - საკუჭნაო (არსებ.)
3. სავაჭრო ჯგუფი **სვ(1)** - მიწისპირა სართული - ავტოგაზგასამართი სარიგებელი სვეტები (არსებ.)
4. დიდი საფრთხის შემცველი ჯგუფი **დსშ-2(1)** - მიწისპირა სართული - საკომპრესორო სათავსოები (არსებ.)
5. დიდი საფრთხის შემცველი ჯგუფი **დსშ-2(2)** - მიწისპირა სართული - შბა-ს საცავი ცილინდრები (არსებ.)
6. სასაწყობო ჯგუფი **სწ-2** - მიწისპირა სართული - სატრანსფორმატორო (არსებ.)
7. სავაჭრო ჯგუფი **სვ(2)** - მიწისპირა სართული - ბენზინგასამართი სარიგებელი სვეტები (საპრ.)
8. სავაჭრო ჯგუფი **სვ(3)** - მიწისპირა სართული - ბენზინგასამართი სარიგებელი სვეტები (საპრ.)
9. დიდი საფრთხის შემცველი ჯგუფი **დსშ-2(3)** - მიწისპირა სართული - თხევადი საწვავის მიწისქვეშა ავზები (საპრ.)
10. დიდი საფრთხის შემცველი ჯგუფი **დსშ-2(4)** - პმიწისპირა სართული - თხევადი აირის მიწისზედა ავზი (საპრ.)
11. საქმიანი ჯგუფი **სქ(2)** - მიწისპირა სართული - დახურული მოსაცდელი (საპრ.)

10. კონსტრუქციის ტიპების შეფასება.

შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების არსებული შენობებისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღვრულია 721.1 ცხრილის მიხედვით), შენობებში არსებული დაკავებულობების საფუძველზე და შენობების სიმაღლეებიდან გამომდინარე არსებული შენობებისთვის განსაზღვრულია V-A კონსტრუქციის ტიპი, ხოლო საპროექტო შენობებისთვის - დიდი საფრთხის შემცველი ჯგუფი დსშ-2-სთვის შეირჩია I-A კონსტრუქციის ტიპი, საქმიანი ჯგუფი სქ და სავაჭრო ჯგუფის სვ-თვის - V-A კონსტრუქციის ტიპი.
არსებული შენობების მზიდი კედლები (40 და 20 სმ სისქის), რკინაბეტონის მონოლითური ფილებით გადახურვა დასრულებული ბრტყელი გადახურვის კონსტრუქციით და საპროექტო შენობა-ნაგებობების მზიდი და გადახურვის კონსტრუქციები აკმაყოფილებს **601 ქვეთავს, 601 ცხრილის** მოთხოვნებს, პროექტიდან გამომდინარე შეადგენს მინიმუმ 1 საათს, მიწისქვეშა ავზების ცილინდრების კონსტრუქცია და დამცავი სარკოფაგის კონსტრუქცია 2 სთ ცეცხლმედეგობისაა და შეესაბამება წესების მოთხოვნებს.
გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

11. სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

საპროექტო შენობა-ნაგებობების სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია წესების მე-5 თავის 503 ცხრილის მიხედვით და შენობებში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციების ტიპიდან (V-A) გამომდინარე არსებული და საპროექტო შენობების ყველა ნაწილი აკმაყოფილებს განსაზღვრულ ნორმებს. შენობების დასაშვები სიმაღლეები და ფართობები აკმაყოფილებს **503 ცხრილის** („შენობის დასაშვები სიმაღლე და ფართობი, შენობის სიმაღლის შეზღუდვები ნაჩვენებია მ-ში მიწის დონის ზემოთ. სართულიანობის შეზღუდვები ნაჩვენებია სართულებით მიწის დონის ზემოთ. ფართობის შეზღუდვები ნაჩვენებია მ2-ში „შენობის ფართობი“ განსაზღვრების მიხედვით) მონაცემების შესაბამისად განისაზღვრა I-B (მიწისქვეშა სართ.) და V-A (მიწისზედა სართული) ტიპის კონსტრუქციებს.

შენობების დაკავებულობების ფართობის ჯამური მაჩვენებელი გასასვლელი საშუალებების ფართობებთან და სხვა ელემენტებთან ერთად არ ცდება 503 ცხრილში მითითებული სართულების ფართობთან დაკავშირებულ ზღვრებს.

12. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სიტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა თითოეულ შენობის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, დერეფნების და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.
წესების მე-10 თავის 1004 ქვეთავის, 1004.1.2 ცხრილის საფუძველზე განსაზღვრული დაკავებულობის დატვირთვების გამოთვლის და თითოეული შენობის სათავსოების ანალიზის შემდეგ დადგინდა, რომ არსებული საოპერატორო შენობის კლასიდან გამომდინარე არსებული დერეფანი არ საჭიროებს ცეცხლმედეგობას, ხოლო შენობის დასავლეთის კედელს გააჩნია 2 საათიანი ცეცხლმედეგობა. ამავე კადელში არსებული ღიობები საკადასტრო ხაზის სიახლოვეიდან გამომდინარე გაუქმდა არსებული კარი, ხოლო ტუალეტის ფანჯარა მოეწყობა ცეცხლმედეგი მინაბლოკებით.

მიწისპირა სართულზე სხვა ყველა შენობის - საპროექტო და არსებული - ჯამური დაკავებულობების დატვირთვა შეადგენს 12-ს, გასასვლელების რაოდენობა შეესაბამება წესების **1021 ქვეთავს** (**1021.2, სართულებიდან გასასვლელები**).

13. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

გასასვლელების გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დატვირთვის მიხედვით, გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1008.1.1 ქვეთავის და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (5.1 მმ). გასასვლელის გზა-კარების სუფთა მინიმალური სიგანე შეადგენს 0,82 მეტრს, ხოლო პროექტის მიხედვით, გასასვლელების სისტემაში შემავალი გზა-კარის მინიმალური სუფთა თავისუფალი სიგანე შეადგენს მინიმუმ 0,82 მეტრს (შბა-ს ცილინდრების საცავი) და 1,34 მეტრს საოპერატოროს შენობაში.

ასევე უნდა აღინიშნოს რომ ცეცხლმედეგ კედლებსა და ტიხრებში ჩასმული ყველა გზა-კარები აკმაყოფილებს 716.5 ქვეთავის მოთხოვნას ღიობის ცეცხლმედეგობასთან.

14. მისაწვდომობის შეფასება

მე-11-ე თავის 1103.2.4 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად გეგმარების კონცეფციაში არის მითითებული მისაწვდომობის სვლა-გეზი, რისი საშუალებითაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს შეუძლიათ ტერიტორიაზე და ტუალეტში და მოსაცდელში შესვლა.

15. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია 705 ქვეთავის მიხედვით და შეესაბამება 705.8 ცხრილს. მოცემული დოკუმენტაციის მიხედვით პროექტში, კონსტრუქციის ტიპისა და ხანზარსაწინააღმდეგო მანძილიდან გამომდინარე 602 ცხრილის მიხედვით გარე კედლები ნაწილი საჭიროებს ცეცხლმედეგობის უზრუნველყოფას:

გარე კედლის ცეცხლმედეგობისა და ღიობისადმი მოთხოვნები ცხრილების 602-ის და 705.8 -ის მიხედვით									
გარე კედელი	ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი (მეტრი)	ცეცხლმედეგობის ხარისხი (საათი)		კედლის ღიობების ფართობი (კედლის %)					
		მოთხოვნილი	გათვალის წინებული	დასაშვები			გათვალისწინებული		
				დაცული	დაუცველი საშხეფებით	დაუცველი	დაცული	დაუცველი საშხეფებით	დაუცველი
(საოპერატოროს ჩრდილო ფასადი)	21,05	0	-			შეუზღუდავი			
(საოპერატოროს აღმოსავლ	9,11	0	-			შეუზღუდავი			

ეთ ფასადი)									
(საოპერატოროს სამხრეთ ფასადი)	30,59	0	-			შეუზღუდავი			
(საოპერატოროს დასავლეთ ფასადი)	1,94	1	1			-			
(საკომპრესოროს ჩრდილო ფასადი)	20,04	0	2			შეუზღუდავი			
(საკომპრესოროს დასავლეთ ფასადი)	12,12	0	2			-			
(საკომპრესოროს სამხრეთ ფასადი)	20,69	0	2			შეუზღუდავი			
(საკომპრესოროს აღმოსავლეთ ფასადი)	9,11	0	2			შეუზღუდავი			
(შბა-ს საცავის ჩრდილო ფასადი)	23,68	0	1			შეუზღუდავი			
(შბა-ს საცავის დასავლეთფასადი)	10,35	0	1			-			
(შბა-ს საცავის სამხრეთ ფასადი)	20,43	0	1			-			
(შბა-ს საცავის აღმოსავლეთ ფასადი)	-	4	4			-			
(სატრანსფორმაროროს ჩრდილო ფასადი)	41,14	2	2			-			
(სატრანსფორმაროროს	2,38	2	2			-			

დასავლეთ ფასადი)									
(სატრრანსფორმაროროს სამხრეთ ფასადი)	41,14	2	2			შეუზღუდავი			
(სატრრანსფორმაროროს აღმოსავლეთ ფასადი)	5,75	2	2			-			
(დახურული მოსაცდელის ჩრდილოფასადი)	35,48	0	0			-			
(დახურული მოსაცდელის დასავლეთ ფასადი)	1,72	1	1			-			
(დახურული მოსაცდელის სამხრეთ ფასადი)	7,84	0	0			-			
(დახურული მოსაცდელის აღმოსავლეთ ფასადი)	38,92	0	0			შეუზღუდავი			

გარე კედლებში ჩასმული ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობები (კარები, ფანჯრები) აკმაყოფილებს წესების 705.8 ცხრილის მოთხოვნებს ფართობისა და ცეცხლმედეგობის ხარისხის მიხედვით, ასევე 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნებს ღიობების შვეულ გამიჯვნასთან დაკავშირებით.

16. სახურავის ანაწყობების შეფასება

შენობების გადახურვის ტიპი არის ბრტყელი (საოპერატორო, ტუალეტები, სატრანსფორმატორო, მოსაცდელი და სარიგებელი სვეტების გადახურვა) ან ქანობიანი (საკომპრესორო და შბა-ს ცილინდრების საცავი შენობები) გადახურვით.

სახურავების კონსტრუქციები და არაძირითადი ნაწილები განსაზღვრულია 601 ცხრილის მიხედვით. სახურავების ბურულების ხანძრის კლასიფიკაცია, კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის C კლასს (**ცხრილი 1505.1ა**).

„1505.4. C კლასის სახურავის ანაწყობები. C კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს სუსტი ცეცხლის ზემოქმედებას.“

17. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება

საპროექტო ტერიტორიის თითოეული ნაწილი ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული წესების **508 ქვეთავის** შესაბამისად.
ტერიტორიაზე წარმოდგენილია არსებული და საპროექტო შენობა-ნაგებობები, აქედან, საოპერატოროს შენობა შერეული დაკავებულობებისაა (სქ და დს ჯგუფების), რომლებიც არ ითხოვს ცეცხლმედეგ გამიჯვნას.
საკომპრესორო და შბა-ს ცილინდრების საცავი არსებული შენობები დაკავებულობებისგან გამომდინარე (ორივე - დსშ-2 ჯგუფისაა) ერთმანეთისგან გამიჯნულია 4 საათიანი მედეგობის ცეცხლგამძლე კედლით (**ცხრილი 508.4**), ხოლო შბა-ს ცილინდრების არსებული საცავი არ შეესაბამებოდა შნუწ-ის მოთხოვნებს და პროექტში ჩაიდო მისი შემოზღუდვა ცეცხლგამძლე კედლებით და სახურავით.

18. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

საპროექტო ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების დაკავებულობებისთვის წესების მიხედვით გათვალისწინებულია შემდეგი ხანძრისგან დაცვის აქტიური სისტემები:

- სახანძრო განგაშისა, კვამლაღმომჩენი და ცეცხლაღმომჩენი სისტემები - დსშ-2 ჯგუფის დაკავებულობისთვის;
- კვამლის საკონტროლო სისტემები - დსშ-2 ჯგუფის დაკავებულობისთვის;
- ხელის ცეცხლმაქრები - დსშ-2, სქ, დს, სვ და სწ-2 ჯგუფების დაკავებულობებისთვის.

19. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება

წყალსადენი სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაკავებულობის ტიპის მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს (ცხრილი 1602.1).

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა

ცხრილი 1602.1-ის მიხედვით

სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	ფიქსირებული მოწყობილობები(ცალი)											
		უნიტაზი		ტუალეტის ხელსაბანები		აბაზანა/შხაპი		სასმელი წყლის ფანტანი		სამომსახურეო ნიჟარა		სამზარეულოს ნიჟარა	
		მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
პირველი სართული	საქმიანი ჯგუფი სქ; დამხმარე სათავსოების ჯგუფი დს; დ.დ. 5	1	1	1	3	-	-	1	1	1	1	-	-
პირველი სართული	სავაჭრო ჯგუფი სვ; დიდი საფრთხის შემცველი ჯგუფი დსშ; დ.დ. 5	1	3	1	3	-	-	1	1	-	-	-	-

20. განსაკუთრებული პირობები (დამატებითი)

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" და ამ დადგენილებიდან გამომდინარე რეგულაციებთან შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, საპროექტო-სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე - შპს „გამა“, დირექტორი დავით ჩახტაური

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება *წესებში* გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული *წესების* მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

ექსპერტიზის დასკვნა

დამკვეთის დავით ჩახტაური (პ/ნ 01020007039) მიერ, №AEC-III-C-41-17 (23.10.2017წ.) კონტრაქტის საფუძველზე წარმოდგენილ **ქ. თბილისში, გურამიშვილის ქუჩიდან გლდანში მიმავალ მაგისტრალზე შპს „გამა"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი 01.11.12.020.007) გაზგასამართის სადგურის პროექტის არქიტექტურული ნაწილების**

მოქმედი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების შედეგად, ექსპერტის მიერ დადგინდა - მოწოდებული სახით ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული პროექტის ნაწილები შესაბამობაშია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან და ეძლევა დადებითი შეფასება.

ხელმოწერები:

ექსპერტი: ნატალია ვასილიევა

ექსპერტიზის ანგარიში ტექნიკური წესით გადაამოწმა

ტექნიკურმა მენეჯერმა ნინო მენთეშაშვილმა

ინსპექტირების ანგარიში ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა

ხარისხის მენეჯერმა მამუკა მენთეშაშვილმა

შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“-ს

თანამშრომლის ნატალია ვასილიევას

დეკლარაცია

ჩემს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია პროფესიული საქმიანობის შესახებ არის სწორი, რასაც ვადასტურებ ხელის მოწერით.

ნატალია ვასილიევა

რ ე ზ ი უ მ ე (CV)



სახელი და გვარი:	**ნატალია ვასილიევა**
დაბადების ადგილი:	**საქართველო, თბილისი**
ოჯახური მდგომარეობა:	**დაოჯახებული**
მისამართი:	**თბილისი, შალვა ცინცაძის ქ., 41**
ტელეფონი:	**(+995-32) 2-66-33-38; მობ. 5 55 599 479**
ენები:	**ქართული სრულყოფილად, რუსული - მშობლიური, ინგლისური კარგად**

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა:

1974–1979 წწ – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. **არქიტექტურის მაგისტრის დიპლომი (წარჩინებით).**

1979–1981 წწ – უცხო ენების შემსწავლელი ორწლიანი კურსები (თბილისის სახელმწიფო უცხო ენათა ი.ჭავჭავაძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებული). **წარჩინების დიპლომი.**

1981–1985 წწ – საცხოვრებელი სახლების დაპროექტებისა და მშენებლობის ცენტრალური სამეცნიერო– კვლევითი ინსტიტუტი, ქ. მოსკოვი. **ასპირანტურა, მოწმობა.**

2011-2012 წ – ქ.თბილისის მერიის ინგლისური ენის კურსები - 2-ე და 3-ე დონეები. **სერტიფიკატები.**

2016 წ - ქ. თბილისის, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს მთავრობის 41 დადგენილების „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ ტერნინგები.

მუშაობის გამოცდილება:

2017.11- შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“,

თანანმდებობა: **ტექნიკური მენეჯერი.**

2017.05-2017.10 შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“,

თანანმდებობა: **არქიტექტორი-ექსპერტი.**

2017.05- შპს „არქტრენინგ ცენტრი“,

თანანმდებობა: **ტრენერი.**

2014-2017 შპს „პროგრესი” (საპროექტო კომპანია),

თანანმდებობა: **არქიტექტორი.**

2011-2012 შპს ”მარჩენკო” (არქიტექტურა, ტოპოგრაფია, 3დ სკანირება)

თანანმდებობა: **არქიტექტორი.**

2008-2011 შპს „ტოპ დიზაინი“(საპროექტო–არქიტექტურული ფირმა),

თანანმდებობა: **მთავარი არქიტექტორი.**

1998–1999 მუნიციპალური განვითარების ფონდი (**MDF** – მსოფლიო ბანკის პროექტი). თანანმდებობა: **კონსულტანტ–არქიტექტორი.**

1987–1996 ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის დაცვის სახელმწიფო სამმართველო (თბილისის მერიასთან არსებული). თანანმდებობა: **უფროსი არქიტექტორი.**

1979–1981 „თბილზნიეპი“ (სამეცნიერო–კვლევითი და საექსპერიმენტო საპროექტო ზონალური ინსტიტუტი). თანანმდებობა: **არქიტექტორი.**

1973-1974 საკავშირო მცირე სიმძლავრის ელ.მანქნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „ВНИИТМЭ». თანანმდებობა: **ლაბორანტი.**

1972-1973 კავშირგაბმულობის განყოფილებების საპროექტო ინსტიტუტი «Гипросвязь», თანანმდებობა: **ტექნიკოს-არქიტექტორი.**

ბოლო დროის არქიტექტურული პროექტები:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ობიექტები:

1. ქუთაისი, სამხედრო ნაწილის ყაზარმა - 2007 წ;
2. ქუთაისი, კოპიტნარი,საავიაციო ბაზა - 2007 წ;
3. ვაზიანი, სამხედრო ნაწილის ყაზარმა - 2008 წ;
4. გენერალური შტაბის შენობის რეკონსტრუქცია - 2008 წ.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები:

1. დაბა თაბახმელა - 2008 წ;
2. თბილისი, შ. ცინცაძის ქ., #41 – 2009 წ.

მრავალფუნქციური სასაწყობე შენობა: თბილისი, გურამიშვილის გამზ., #39ა - 2016წ.

ავარიული სახლების გამაგრება-გაძლიერების არქიტექტურული პროექტები (თბილისი):

1. ჩეხოვის ქ., #37 – 2015წ;
2. ქიქოძის ქ., #12 – 2015წ;
3. გლდანის II მკრნ, კორპ. 25 – 2015წ;
4. გლდანის VI მკრნ, კორპ.2 – 2015წ.

საექსპერტო დასკვნები არქიტექტურულ პროექტებზე (2015წ):

1. საექსპერტო დასკვნა #70/1-1 ქ.თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე „ოლომპიური მძლეოსნობის კომპლექსის“ არქიტექტურულ პროექტზე;
2. საექსპერტო დასკვნა #151/3 ქ.თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე „ფრენბურთის ოლომპიური დარბაზების“ არქიტექტურულ პროექტზე.

საექსპერტო დასკვნები არქიტექტურულ პროექტებზე - შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების შესაბამისობაზე (2017 წლიდან):

- მრავალბინიანი საცხვრებელი სახლები, ქ.ბათუმი
- მრავალბინიანი საცხვრებელი სახლი, ქ.თბილისი, ხერგიანის ქ. # 8
- ინდივიდულური საცხოვრებელი სახლები, ქ.თბილისი, ბაგები, იმედაძის ქ.,#1
- ინდივიდულური საცხოვრებელი სახლები, წყნეთი
- გაზ- და ბენზინგასამართი სადგურები, ქ.თბილისი, ვარკეთილი, შეშელიძიოს ქ.
- საოფისე შენობის რეკონსტრუქცია, ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზ., 61
- ლითონნაკეთობათა საწარმოოს შენობა, ქ.თბილისი, ბაღნარის ქ., 2ა
- მრავალპროფილიანი კლინიკა, ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ., 21
- ღვინის ქარხნები, წინანდალი, ყვარელი
- ბაზრის შენობა, რუსთავი
- სასაწყობო შენობა,

და სხვ.

უნარჩვევები:

- საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობა–ნაგებობების დაპროექტება;
- საექსპერტო დასკვნები არქიტექტურულ პროექტებზე (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობა-ნაგებობებზე);

- საპროექტო–სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება (ესკიზური და მუშა პროექტების სტადიები, მშენებლობის სანებართვო სტადია) საქართველოს საკანონმდებლო ბაზის შესაბამისად;
- ვმუშაობ კომპიუტერულ პროგრამებში: **ArchiCAD, AutoCAD, AutoCAD Land, MS Office: Word, Excel, Power Point, Paint;**
- ვაწარმოებ არქიტექტორულ–ტექნიკურ ზედამხედველობას; ვამოწმებ გრაფიკის მიხედვით შესრულებულ სამუშაოთა ანგარიშს;
- ვთარგმნი ტექნიკურ დოკუმენტაციას რუსული და ინგლისური ენებიდან ქართულზე და ქართულიდან რუსულზე;

პიროვნული თვისებები

- პუნქტუალობა
- ორგანიზებულობა
- ანალიტიკური აზროვნება
- მაღალი პასუხისმგებლობა
- ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის უნარი
- კარგი კომუნიკაციის უნარი



დიპლომი

წარჩინებით

Ч № 754004

ეს დიპლომი მიეცა ვასილიევას ნატალიას

მასზე, რომ იგი 1974 წელს შევიდა

საქართველოს ვ.ი. ლენინის სახელობის

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1980 წელს დაამთავრა

ვ.ი. ლენინის სახელობის

სრული კურსი სპეციალობით

არქიტექტურა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1980 წ.

„10" „07" გადაწყვეტილებით

ნ.ა. ვასილიევას მიენიჭა

არქიტექტორის

კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 1980 წ. „30" 09

სარეგისტრაციო № 11024

Грузинский ин.

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

Ч № 754004

Настоящий диплом выдан Васильевой

Наталье Азаревне

в том, что она в 1974 году поступила в

Грузинский политехнический

институт им. В.И. Ленина

и в 1980 году окончила полный курс

названного

института

по специальности

архитектура

Решением Государственной экзаменационной

комиссии от „10" 07 1980 г.

Васильевой Н.А.

присвоена квалификация

архитектора

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П. Город Тбилиси 30 09 1980 г.

Регистрационный № 11024

Московская типография Гознака. 1967.


საქართველოს რესპუბლიკა
პირადობის მოწმობა
პირადი № 01019013928
სახელი ნატალია
გვარი ვასილიევა
დაბადების თარიღი 09.02.1955წ
დაბადების ადგილი თბილისი
ეროვნება – –
N° J 0216352
პირადი ხელმოწერა


მისამართი – –
თბილისის
მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება
ნაძალადევის რაიონის შ.ს.სამმართველო
გაცემის თარიღი 20.09.1999წ
მოქმედების ვადა უვადო
ბ.ა. თანამდებობის პირის ხელმოწერა


საქართველოს მოქალაქის
რეგისტრაციის მოწმობა ა 570006
ძალაშია პირადობის მოწმობასთან ერთად
სახელი ნატალია
გვარი ვასილიევა
პირადი № 01019013928
მისამართი თბილისი ცინცაძის 41


რეგისტრაციის ორგანოს დასახელება
თბილისის ნაძალადევის რაიონის შ.ს.ს.
თანამდებობის პირის ხელმოწერა
20 09 1999
გაცემის თარიღი
ხელმოწერა